№ 185 5 სეკდემბერი, შაბათი. 1866—1881 5 სეკდემბერი, შაბათი. № 185

რედაქცია

გალავანის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ენკენისთვიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ცალკე ღირს — სამი მანეთი

**ივერია**

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავანის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი · Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

## ტელეგრამმა

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი, 3 სეკტემბერს. მმართებლობის მოამბეში დაბეჭდილია, რომ 30 აგვისტოს უმაღლესად გამოცემულის გრამატით ყოვლად-სამღვდელო იოანნიკის ებოძა ორდენი ალექსანდრე ნეველისა.

## ახალ ქართულ გაზეთს.

თბილისი, 4 სეკტემბერს.

დღეს მივიღეთ ქუთაისიდამ პირველი ნომერი იქაურ ქართულ გაზეთის „შრომისა“.

მივიღეთ, გადავფურცლეთ, გადავიკითხეთ და პირველი გრძნობა, რომელიც აღიძრა ჩვენს გულში, იყო სიამოვნება და სიხარული, რომ კარგი თანამოძმე, კარგი მწეველი ერთისადა-იმავე ულლისა დაგვებადა, შეგვემატა.

ამ პირველ ნომერზედვე ეტყობა, რომ ახალი გაზეთი სწორეთ იმ გზას დაადგება, რომელიც ყველა მამულისშვილისა და სამშობლოს-მოყვარე ქართველისათვის სანატრელია ამ ქამად. ჩვენ ვიცნობთ ახალ გაზეთის რედაქციის შემდგენელ პირთ და იმედი გვაქვს, რომ ამ გზას ისინი არ უღალატებენ და ამ თავითვე გამოთქმულს მიზანს ერთგულად ემსახურებიან.

ერთს ადგილას სახელმძღვანელო (მოწინავე) წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„ყოველსავე ჩვენს შრომას, ჩვენს მიმართულებას და მიზანს მხოლოდ საზოგადოების ინტერესი აქვს. ჩვენ მასთვის არ ვზოგავთ, როგორც ჩვენს ნიჭს, აგრეთვე ჩვენს ქონებას და სიცოცხლეს. სამწუხაროდ ჩვენდა უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას ასე არ ესმის თავის დანიშნულება და არ მოქმედებს ისე, როგორც მათი მოვალეობა მოითხოვს, რომ ჩვენი სახსი მტკიცედ დამყარდეს კეთილდღეობის და წარმატების გზაზედ. ამისთვის ვეცდებით, რომ ჩვენს თანამოძმეებს შევაყვაროთ, რაც ცხოვრების მიზანს შეადგენს, ესე იგი, მდგომარეობის გაუმჯობესობა; მოვაგონებთ მათ ჩვენს ვინაობას, წასულს ჩვენს ვითარებასა და ერთობის დროს ქართველთა ტომის ძლიერების მიზეზებს; აგრეთვე შევუდგებით იმის განხილვას, თუ რა მდგომარეობაში ვართ ამ ჟამად და რა ბედის მოსურნე უნდა ვიყოთ მომავალისათვის. ყოველს ჩვენს მოქმედებაში და სიტყვაში ჩვენ იმ აზრის დამცველი ვიქნებით, რომ ყოველივე დამოკიდებულია პატიოსანს შრომაზედ და თავის მიზანს ყველაზედ უფრო ადრე ის უახლოვდება, ვინც მეტს შრომობს ცხოვრების ასპარეზზედ.“

ჩინებული აზრი და მიზანია; მხოლოთ ცოტა არ იყოს გვეჩოთირება სიტყვები, რომ „ჩვენ მისთვის (საზოგადოების, ხალხისთვის) არ ვზოგავთ როგორც ჩვენს ნიჭს, აგრეთვე ჩვენს ქონებას და სიცოცხლეს“. როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ ვიცნობთ „შრომის“ რედაქციას და თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ, თუ საჭირო იქნა, ამ თავის სიტყვას ისინი სისრულეშიაც მოიყვანებენ; მაგრამ ყვირილი და ძახილი, რომ ჩემს თავს და ქონებას სამშობლოს შევსწირავო და განსაკუთრებით თავის ნიჭზე ლაპარაკი, როგორღაც მიღებული არ არის.... ეს წვრიმალი შენიშნვაა.

მეორე ადგილას ამავე სახელმძღვანელო წერილში რედაქცია ამბობს:

„ჩვენც შეგვხვდება უსათუოდ სხვა-დასხვა პირებზედ სჯა და ბაასი, მაგრამ ჩვენ შევუდგებით მხოლოდ იმ პირთა მოქმედების დაფასებას, რომელთაც ცხოვრების ასპარეზზედ უკავიათ რაიმე შესანიშნავი ალაგი და მათის მდგომარეობით შეუძლიანთ გავლენა საზოგადოებაზედ. ამ გვარს შემთხვევაში გაზეთის პირ-და-პირი მოვალეობაცა არის, რომ რაც უნდა სასტიკათ საკიცხავი, ანუ კეთილი და სამართლიანი იყოს საზოგადო ასპარეზზედ მოქმედება, ნამდვილი მისი სურათი წარუდგინოს მკითხველს საზოგადოებას, რომ მან იცოდეს, ვინ არის მისი მტერი და ვინ მეგობარი. რაც შეეხება ხშირად უადგილო მწერლობას და უმიზნო პოლემიკას, ეს ჩვენი საქმე არ არის და ამისათვის დიდი იმედი გვაქვს, „შრომის“ მკითხველი არ დაგვემდურება და კიდეც უფრო დაგვიმადლებს ამისთანა ჩვენს შეხედულობას ლიტერატურის დანიშნულებაზედ.“

ეტყობა, რედაქციას კარგათ ესმის გაზეთის დანიშნულება საზოგადოთ და დანიშნულება განსაკუთრებით იმერეთის გაზეთისა; მაგრამ იმერეთი თავის ცოცხალი, მოძრავე მცხოვრებლებითა, თავის საადგილ-მამულო ბანკით და ქალაქის გამგეობით, ისეთს ცეცხლ-მქშინავ, ვულკანიურ ნიადაგს წარმოადგენს, რომ „ბარაქალას“ ვეტყვით ახალ რედაქციას, თუ ზემოხსენებულ კალაპოტში ჩადგომას მოახერხებს, თუ შეიძლებს, რომ უმნიშვნელო და უსაგნო პოლემიკა და განკიცხვა აიშოროს თავიდამ და ყოველ საგანს, უწყებასა და პირს იმდენად შეეხება, რამდენათაც ამათ საზოგადო, საერო საქმეებში გავლენა და მნიშვნელობა აქვთ.

მაგრამ გაზეთის მომავალზე კი არა ახლანდელზედაც არ გვმართებს ჯერჯერობით ლაპარაკი, სანამ რამდენიმე ნომერი მაინც არ მოგვივა და სანამ ამ ნომრებში დალაგებით და აშკარად არ იქნება განსაზღვრული და ახსნილი რედაქციისაგან თავის მიზანი და საშუალება ამ მიზნის მისაღწევნელად.

ახლა კი ჩვენ გვმართებს მხოლოდ ძმურად გაუწოდინოთ ხელი ჩვენს იმერეთის თანამოძმეს და მივესალმოთ: დღე-გრძელი იყოს შენი სიცოცხლე სამშობლო ქვეყნის სამსახურისა, წარმატებისა და დიდებისათვის!

## ახალი ამბები.

მუდამ ახალ-ახალი სტუმრები მოგვდის არხეოლოგოსების სხდომაზე დასასწრებად, რომელიც, როგორც მკითხველმა იცის, ამ თვის 8-ს ე. ი. ღვთის-მშობლობა დღეს მომავალ სამშაბათს გაიხსნება. საზოგადო სხდომები მთელის კრებისა იქნება მთავარ-მართებლის სასახლეში, რომელიც ამ ჟამად ცარიელია, და კერძო სხდომები არხეოლოგიის სხვა-და-სხვა განყოფილებისა (სექციისა) დანიშნულია მუზეუმში და საზოგადო ბიბლიოთეკაში.

8 ენკენისთვესვე გაიხსნება ახლად-გადაკეთებული კავკასიის მუზეუმი.

კრების გამგე კომიტეტის წევრებად სამი ქართველია ამორჩეული: პეტერბურღის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ა. ცაგარელი, ბ. დ. ზ. ბაქრაძე და თ. რაფ. დ. ერისთავი.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში დაბეჭდილი ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი, სახელად „სახელმძღვანელო ლოცვების, ათი მცნების, ცხრა ნეტარების და სიმვოლო სარწმუნოების შესასწავლებლად“, შედგენილი გორის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებლის მ. ლაზარე ტურიევისაგან. პატარა, სუფთად გამოცემული წიგნია და არც ძვირად ღირს, ეგზ. აბაზათ.

* * *

რაჭიდამ შემდეგ საყურადღებო ამბავს გვწერენ:

„რაჭაში, ყოველ საზოგადოებაში არის დაქირავებული ცხენები გლეხების ხარჯით; თითო საზოგადოება ამ ცხენებისათვის წელიწადში ოც თუმნამდინ იხდის. ამ ფულებს ჰღებულობს მეიჯარადრე და ცხენებიც იმასა ჰყავს დაყენებული მოგზაურ ჩინოვნიკებისათვის. მოიჯარადრე ცხენს „უპრავონოთ“ იშვიათად თუ ვისმე მისცემს და თუ ვისმე უპრაგონოთ წაყვანა უნდა ცხენისა, ისევ გლეხებს გამოართმევს და მიჰყავს.

„მოგეხსენებათ, რომ არც ერთს ჩინოვნიკს არა აქვს უფლება, რომ უსასყიდლოდ, მუქთად მოსტაცოს გლეხს ან სხვას ვისმე ცხენი და ამ ნაირად, თუნდაც სამსახურის საქმისათვის მიდიოდეს, სხვისი საქონლით ისარგებლოს. მაგრამ ჩვენს მიყრუებულს რაჭაში კანონსა და წესს ვინ აქცევს ყურადღებას! ვინც წასწვდება საწყალს ჩვენს მშვიდობიანს გლეხს, ვინც ახერხებს, ყველა სჩაგრავს და გამკითხავი, დამცველი არავინ ჩნდება...“

* * *

ქუთაისის ახალი გაზეთი „შრომა“ გვაცნობებს, რომ იქაურ სათავადაზნაურო სკოლაში ყმაწვილების მიღება გათავებულა. მსურველები იმდენი იყვნენო, რომ სამოცდა შვიდი ვაკანსია ნახევარსაც არ გახვდაო. ასე რომ სკოლის მზრუნველობა და ინს-

პექტორი იძულებული შეიქნენ წილის-ყრით მიეღოთ ყმაწვილები. ახლა ამ სკოლაში ოთხი განყოფილება არის; მეორესა და მესამე განყოფილებას კიდევ პარალელური კლასები აქვს და სულ ამ ექვს განყოფილებაში ორას ორმოცი შაგირდია.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ზოგიერთ მასწავლებელთ განუზრახავთ საყმაწვილო ბალის გამართვა ქუთაისში და ამ აზრით შეუდგენიათ ჩრებლის საზოგადოების წესდება, რომელიც მთავრობას უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლათაო.

* * *

4 აპრილს 1866 წლის სახსოვრად გამართულის ქალაქის საავათმყოფოს გამგეობა აცხადებს, რომ პირველ ენკენისთვიდამ ავათმყოფების მიღება ამ საავათმყოფოში დაიწყება დილის 9 საათზე და გათავდება ნაშუადღევს 2 საათზე

## ქუთაისში გაზეთის გამოცემის გამო *)

ჩვენს თანამედროვე სამშობლო ლიტერატურას ეძინება ერთი ახალი გამოცემა. იმერეთის სატახტო ქალაქს ქუთაისში, თავ. დიმიტრი დადიანის რედაქტორობით, არსდება ახალი ქართული კვირის გაზეთი სახელად „შრომა“.

რაღა თქმა უნდა იმას, რომ ყველა, ვისაც კი ცოტათი მაინც ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ხალხისათვის დედა ენაზედ გაზეთ-ჟურნალის გამრავლებას, დიდ სასიამოვნო მოვლენად ჩასთვლიან ქუთაისში, რომელიც დღემდისაც სრულიად ღირსი იყო ჰქონოდა თავის საკუთარი, ამ გაზეთის დაარსებას.

არა თუ ჩვენ, რომელთაც ძალიან ცოტა გვაქვს გამოცემაები, და რომელთაც დროთავითარებისა და სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით, მარტო ერთად-ერთი გაზეთი გვაქვს ჩვენს ენაზედ, ერთად-ერთი საზრდოს მომწოდებელი ორგანი ჩვენი ზნეობისა, ჭკუისა და ნიჭიერებისა, თვით ისეთი ხალხებიც, რომელთაც ბლომად აქვსთ თავიანთ დედა ენაზედ ამ გვარი ორგანები, ისინიც დიდი ალტაცებით და მხიარულებით ეგებებიან ახალი გაზეთის დაარსებას; და ჩვენ, რასაკვირველია. უმეტესი საფუძველი გვაქვს, სიამოვნებით შევეგებოთ ამ გაზეთსა.

ჩვენ ჯერ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვსთქვათ, რომ საზოგადოება ქუთაისის გუბერნიისა სიამოვნებით არ შეეგებება ამ მოვლენას, არ იმხიარულებს, რომ მათს დედაქალაქში უარსდებათ თავიანთს ენაზედ გაზეთი.

მაგრამ მარტო მხიარულებით გამოცხადება, რომ გაზეთი დაიბადა არ არის საკმაო გაზეთისათვის. საქმე ის არის, უნდა აღვზარდოთ, ვაცოცხლოთ და მივცეთ, საშუალება თავის არსებითი მოვალეობის აღსრულებისა. გაზეთი სხვა დახმარებას და თანაგრძნობას, მოითხოვს თავის საზოგადოებისაგან.

მარტო გამოცემა გაზეთისა, თუნდ ერთის მაგიერ ათ ჯერ ათამდის სხვა-და-სხვა სახელისა და შინაარსის მქონი გამოიცეს, რა სასიხარულო არის, თუ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ექნა, თუ თავის მიზანს, რომლისთვისაც დაარსებულა, ცოტათი მაინც ვერ დაუახლოვდა, თუ, შესაფერად თავის წმინდა მიზნისა და დანიშნულებისა, ვერ ემსახურა საზოგადო ინტერესებს, თუ თავის სამოქმედო ასპარეზზედ ფეხის შემოდგმისა-თანავე ღონე მოქმედებისა, ღონე ბრძოლისა მიუსუსტდა?

საზოგადოთ გაზეთის აუცილებელი მოვალეობა, რომელსაც ვერც ერთი რიგიანი გაზეთი ვერ აიცილებს, ძალიან მძიმეა თვით იქაც, სადაც ხალხში ლიტერატურას თავის-უფალი გზა აქვს, სადაც ხალხი გონება-გახსნილი და განვითარებულია, და ჩვენში ხომ სულ უმძიმესი.

მაშ სადამე ნურავინ იფიქრებს, რომ გაზეთისათვის მარტო ის რომ მისი დაარსება გულში გვიამა, კმაროდეს. ჩვენ გვაქვს რამოდენიმე მაგალითი იმის დასამტკიცებელი, და უადგილოთ არა ვსთვლი მოვიხსენიო აქ, რომ ჩვენ შესაფერ თანაგრძნობას ვერ უჩენთ ჩვენს ადგილობრივ დედა-ენაზედ გამოცემაებს. გვაქვს მაგალითი და თვით დამამტკიცებელი საბუთებიც, რომ რამოდენიმე პირმა, ჩვენი სამშობლო ლიტერატურისათვის გულ-შემატკივარმა, გამოსცეს ჩვენს დედა-ენაზედ ჟურნალები, მაგრამ თითო წელიწადიც ძლივს იცოცხლეს, წაბრძანდენ წიაღსა შინა აბრაამისასა. და, რა მიზეზია? ყველა ერთ ნაირი სენით: მატერიალურის ღონის-ძიების უქონლობით

მაშასადამე ჩვენი საზოგადოებისაგან, მომავალი გაზეთი მატერიალურის მხრით დახმარებასა და თანაგრძნობასაც მოითხოვს; არა იმნაირად, რომ ვინმემ ერთი ორი მანეთი მიაწოდოს გაზეთს; არა, გაზეთის მატერიალური მხრით, ანუ ნივთიერად დახმარებასა და თანაგრძნობას საზოგადოების-მიერ იმას ეძახიან, როდესაც უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა იწერს გაზეთს. ცხადია, რამდენიც ბლომად ჰყავს მკითხველი გაზეთს, იმდენათად მისი მდგომარეობა ყოველის მხრით წარმატებაშია; მაშინ, რასაკვირველია, გაზეთი, მატერიალურის მხრით მაგარ საფუძველზედ მდგარი, უფრო კარგათ და თავის დანიშნულების შესაფერად აღასრულებს, თავის მძიმე და რთულ მოვალეობას.

წარსული მოკლე სიცოცხლის მქონი გამოცემების ბედი იმიტომ კი არ მოგვყავს აქ, რომ მომავალ გაზეთსაც იმ გვარი ხვედრს უქადდეთ; არა, ღმერთმან ნუ ქნას; შორს ჩვენგან, კიდევ იმგვარი მოვლენა. ჩვენ მხოლოდ იმ აზრით ვიხსენიებთ ამას, რომ წარსულის გახსენება არ გვაწყენს, რომ წარსული მაგალითების თვალწინ დაყენება გაგვაფრთხილებს მომავლისათვის, ენერგიას გაგვიღვიძებს. იქ, სადაც გაზეთ-ჟურნალობა მაგარ საფუძველზედ სდგას და შესაფერად ასრულებს თავის არსებით დანიშნულებას, შედეგი თვით საზოგადოების მხურვალე თანაგრძნობა აცოცხლებს, სულს უდგამს გაზეთს; იქ ჟურნალისტიკას ის მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ტვინისათვის, რაც ჩინებულად მომზადებულს საკვებავ მასალებს ჩვენი კუჭისათვის; იქ არა-თუ შეძლებული და მაღალი წოდების ოჯახი, თვით უმდაბლესი ღარიბი გლეხიც კი თხოულობს გაზეთსა; სადაც განათლების სხივი მოფენილია და ესმისთ მნიშვნელობა ლიტერატურისა, თვით უკიდურესს სიღარიბეში ჩავარდნილი მუშა, რომელიც ლუკმა-პურისთვის სულის შემხუთველ ქარხნებში მუშაობს, იწერს რომელიმე გაზეთსა.

ჩვენში, სამწუხაროდ, ამისთანა მაგალითს, სანთლითაც რომ ვეძებოთ, ვერ ვიპოვით. ჩვენში ღარიბი კი არა, თვით შეძლებული, მაღალი წოდების პირებიც, ასში ერთი თუ იწერს გაზეთ-ჟურნალსა. და ეხლა თითონ ვიფიქროთ: რა ნაირათ უნდა აღასრულოს რომელიმე გამოცემამ თავისი წმინდა და არა მსუბუქი მოვალეობა? რა საშვალებით უნდა იცოცხლოს დიდხანს? რა ნაირად უნდა აღგვისრულოს ის მოვალეობა, რომელსაც საზოგადოება მოითხოვს გაზეთისაგან?

ჩვენ ჩვენის მხრით მხიარულებით და თანაგრძნობით ვეგებებით მომავალს გაზეთს; გვსურს მისთვის ხანგრძლივი სიცოცხლე; გვსურს ღირსეულად აღესრულებინოს თავის მოვალეობა, რომ მოეტანოს ის ზნეობითი სარგებლობა და მოეხდინოს გონებითი წარმატება ჩვენს ხალხში, რომელიც შეუძლია კარგ ნიადაგზედ დამყარებულს გაზეთსა...

ქართველი მკითხველი.

27 აგვისტოს.

*) ეს შენიშვნა ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ერთ ჩვენ სოფლელ მკითხველისაგან და, რადგან ზოგიერთ იმაში გამოთქმულ აზრებს ჩვენც თანაუგრძნობთ, ადგილს ვაძლევთ გაზეთში. ქუთაისის გაზეთის შესახებ ჩვენს აზრს ცალკე გამოვთქვამთ.

რედ.

## „დროების“ კორრესპონდენციები

**სურამი, 30 აგვისტოს.** გადის ზაფხული და ეს ჩვენი სურამიც თანდა-თან ცარიელდება. ყველა მოსული საზაფხულოთ ხალხი მიემგზავრება თავ-თავიანთ ბინაზედ; აქ დაყენებული რუსის ჯარი და დრუჟინა ზოგი წავიდა და ზოგიც ამ დღეებში მიემგზავრება.

ამ წელს ძიელ მალ-მალ ისმის ჩვენკენ კაცის კვლა, ქურდობა და გავლეჯა; ამგვარ შემთხვევებით ჩვენი სურამის მაზრა არ ჩამოუვარდება სხვა ადგილებსა; [illegible] გამომძიებელი და პოლიციის პრისტავი თითქო ცხენის ზურგზედ არიან დაკრულნი, სულ ცნობებისთვის და გამოსაძიებლათ დადიან. ამას წინეთ სურამის დაახლოებით დაეცნენ რკინის გზის მოხელეს (მასტერს); გაეტანათ 400 მანეთი ფული და სხვა-და-სხვა ნივთები. პოლიციამ მეორე დღესვე აღმოაჩინა და დამნაშავეებიდგან ექვსი გამომძიებელმა კიდეც დაატუსაღა. ურია რო გაეცარცვათ სურამელი იტრის გზაზედ, ის დამნაშავეებიც ამ დღეში დაიჭირეს. სოფელ ბალთაში მოსვლოდათ წარსულს კვირაში ჩხუბი ოსებს; ისეთ ნაირათ ყოფილიყვნენ მთვრალები, რომ დაეჩეხნათ ერთმანეთი: თორმეტი კაცია დაჩეხილი, სამი ქალი და ერთი ცხენი. გამოსაძიებლათ წავიდნენ. ჩვენს მოსამართლეს ჰყავს ერთი მთარგმნელი (თარჯიმანი) რომელიც მთელს ამ სუდს როგორც უნდა, ისე ატრიალებს. მომჩივარი ვერ გამოვა, რომ პირველათ ამ მწერალმა არ ინახულოს, დარიგება და გზები ამან არ მისცეს და აქედან არ ისარგებლოს; და რომელიცა უამისოთ საჩივარს დაიწყებს, ის ძნელათ რომ თვის გულის წადილს ეწიოს, ან თავის დროზედ საქმე დაენიშნოს და ანუ თავის დროზედ სპრავკა რაზედმე მოახდინოს; რამდენჯერაც მოსამართლემ უნდა უბძანოს საქმის პოვნა და დანიშვნა, იმდენჯერ ის სულ დაიწყებს მისცემს, ხან მოახსენებს საქმე ვერ ვიპოვნეო, ხან რას და ხან რას; და თუ გინდ რომ კიდეც უპოვნოს და დაუნიშნოს, საქმეს მაინც ბოლო არ მოეღება: ხან უწყებას არ ჩააბარებინებს, ხან ჩაბარებულ უწყებას დაკარგავს, ხანდისხან ვექილათაც დაუდგება იმის წინაამდეგს, ვინც იმას არ დაეკითხება და საჩივარს დაიწყობს.

ამისთანავე თანამდებობა ჰქონდა ამას ჩაბარებული შორაპნის მოსამართლესაგან; მაგრამ როცა კი შეუტყეს ბოროტ-მოქმედება და ხერხები, უცებ თანამდებობიდგან დაითხოვეს. შემდეგ აგერ მეხუთე წელიწადია, საუბედუროდ ჩვენდა, აქაურ მოსამართლესთან ბევრი ვედრებით და ხვეწნით ჩაიგდო იმნაირივე ადგილი;

. . . . . . . . . . . . .

. . . . . ჭალის სამამასახლისო, ხაშური ყურ მოჭრილ ყმებათ გაიხადა: როგორც შეუთვლის გლეხებს გუთანზე, უარის უთქმელათ გამოდიან და ვაი იმათი ბრალი, ვინც ამის თხოვნას არ შეასრულებს! მაშინ იმას სასამართლოში აღარ შეესვლება და ან თუ საქმე აქვს რამე დაწყობილი, ვეღარ ეღირსება საქმის ბოლოს.

ამ ბატონს ფქვილი ჰქონდა გასაყიდი; მისულიყო ხაშურელ მეპურეებთან და ეთქვა, ფუთი რვა აბაზათ აიღეთო. იმათ არ აეღოთ და ამაზედ მეპურებს ჩამომტერებია და მამასახლისისთვის რაღაც აქტი შეე-

ყუნებინა და საწყალი მჯაპურები სუდში დაშტრაფეს თითო თხუთმეტი მანეთითა. შემდეგ საქეეყნოთ ტრაბახობდა—ასეთი სექმე უყავი!

მოსამართლეს ისეთ ნაირათ აჩვენა თავი და შეაბრალა, რომ მოინდომა ყოველის მხრით ამის შემწეობის მიცემა: დაუწყო ლისტების მინდობა, ოპისების შედგენა გარდაცვალებულების, ერთის სიტყვით რაც კი უნდოდა, იმას ეწია; ჩაიგდო ეგრეთვე ხელში ნატარიულ პროექტების შედგენა და ვისაც კი რამე აქვს შესადგენი, ერთი-ორათ და ერთი-სამათ ახდევინებს. და ოც-და-ხუთი მანეთი და რაც სუმიანი იმას ხომ გარდახდევინების სამძლვარი არა აქვს ამ ბატონმა გადამთარგმნელმა, ახალდაბაში ერთი უწყებით გლეხს ორი პრაგონი გარდაახდევინა, მაგრამ მეტი მიღებული ფული სუდმა უკანვე გლეხს დაუბრუნა.

ჩვენს მოსამართლეს ყური აქვს წაგდებული ამის უსამართლო ქცევებზედ. თუ მივიდა ვინმე და პასუხად ის ქვს, მეც განა არ ვიციო; მაგრამ რავქნა, უკეთესი კაცი ვერ მიშოვნია და ამიტომ ვერ შემიძლიან დავითხოვო.

ამ მწერალს კატა არა ყვანდა სახლში, ვიდრემდისინ სუდში მივიდოდა და ეხლა გუთნეული საქონელი უბია.

ამავე მოსამართლეს ყავდა პრისტავის მოადგილეთ ბ. დიდებულიძე, რომელმაც რამდენიმე ლისტი მოიყვანა ასრულებაში და მიღებული ფული პატრონებს აღარ დაუბრუნა; დასდევენ უკან და ჯერაც კიდევ ვერაფერი მიუღიათ.

ერთი სურამელთაგანი.

---

**ყვარელი**, 20 ივლისს. ამა წლის თითქმის ყოველ „დროების" ნომრებში სასიამოვნოთ ვკითხულობთ ყოველის მხრიდამ კარგი მოსავლის ამბებს, და ამ საცოდავს ყვარელს რა დაემართა? აქ ერთობ, როგორც პურისა, ისე ღვინისა ძალიან ნაკლები მოსავალია; სიმინდები და ფეტვები კი სრულიად წახდა გოლვისგან; შარშან, თუმცა ნაცარი სრულებით არ იყო და, რაც მოვიდა ღვინო-კი კარგი იყო, მაგრამ კალიამ ბევრი ვენახები დააზარალა და არავინ ყურადღება არ მიაქცია; და წელს სამი ზომა, შარშანდელზედ მეტი ზარალი მისცა ვენახებსაც და ვისაც კი რამე მიწის მოსავალი ჰქონდა ამ ვენახების მახლობლად, სულ გაათხრა. აგე გასინჯეთ, ნიორი, ხახვი და და თამბაქოც აღარ გაუშვა შეუჭმელი, ვენახები, რაც კალიას გადარჩა, სულ ერთიან დანაცრა ასე, რომ ზოგიერთ ვენახებში საჭმელ ყურძენსაც ველარ იპოვნიან პატრონები.

ეხლა იფიქრეთ—რა უნდა ჰქნან მამულის პატრონებმა ამ მუშის სიძვირეში. ამათი პირველი შემოსავალი ღვინოა; ძვირ-ფასათ აკეთებენ ვენახებს, და შიგ არა მოდის-რა, და თუ ამ შემოდგომაზედ არას ფერი ღონისძიება არა მიიღეს-რა კალიის მოსასპობლათ, უეჭველია, მომეტებულის სიმთვრალით მთელს ვენახებს გადაედება და სრულიად აათხრებს... კალია არის წვრილი, უფროთ კუტი. მინამ ვენახები გაითიბება, ბალახშია და რომ გასთიბენ, ვაზებზედ ადის და ყვავილებშივე ახალ დანასკუდს მარცვლებს სრულიად სჭამს.

საკვირველია ამ ჩვენი ქართველების საქმე: საზოგადოთ თავიანთ სარგებლობა რომ კაცმა დაანახოს, ყველას დიდათ მოეწონებათ და სასიხარულოთ მიიღებენ და გამკეთებელი-კი არავინ გამოჩნდება სასარგებლოს საქმისა. ზანა ვერ ხედავდნენ, რომ შარშან კალიამ ვენახები გააფუჭა? ერთობ ყვარლის საზოგადოებას რომ მოენდომებინა, ადვილათ მოსპობდნენ, რადგან მარტო რამდენსამე ვენახში იყო და წელს სრულიად აღარ იქნებოდა! წელს რამდენი ზარალი და ჯაფა მოემატა სიმრავლის გამო ამის მოსპობაზედ და თუ წელსაც დარჩა, საკელაოთ, რათქმა უნდა, იქმნება გარეშე მეზობლებიც მოიშველიონ და ველარა უშველონ-რა.

ამ სანიტარნის ნაწილისა არ იყოს; პირველში ყველას უხაროდა და სასიხარულოთ მიიღეს ყოველივე უწმინდურობისა და ჰაერის მავნებელის ნაწილების მოსპობა სოფლათ და გზების გაკეთება, ასე რომ ორსა და სამს დღეში ხუთი ქუჩის გზები გააკეთეს, რომლებზედ სრულიად არ გაივლებოდა; შემდეგ ჰაერიც ძალიან გამოიცვალა ამისთანა ციებ-ცხელებიან ადგილას, როგორიც არის სოფელი ყვარელი. ეს ორი ზაფხულია სრულებით სათქმელი ავათმყოფობა აღარ არის; აშკარათ ხედვენ ამისთანა სარგებლობას, მაგრამ ეხლა მოსპეს, სულ გზები წაახდინეს და გასაკელებლათ აღარ გამოდიან, დანარჩენის უწმინდურობის მოსპობას აღარ ფიქრობენ ვენახების გზები ხომ არ ინახვება. საკვირველია, როგორ არ ესმით—თუ რამდენს ზარალს აძლევს. ორსა და სამს ვერსზედ ვენახებიდამ ყურძენის საზიდავად შინ მარნებში ჯერ ურმებში ოროლი და სამ-სამ უღელი საქონელი უნდა შეაბან და იმ ვიწრო საშინელ ლოდებიან ოღრო-ჩოღრო გზებზედ არახუნონ ყურძნით სავსე ურმები და ისე უნდა დაიწეროს რომ უკანასკნელი ურემზედ თავათ ორი ჩაფი თორემ ჩაფ ნახევარი წვენი მაინც დაიღვრება გზაზედ. ამას გარდა ალაგობრივ ვენახებში ერთი ურმის თიგის გათიბვა და დადგმა თითქმის ხუთი მანეთი უჯდებათ და როცა შინ მოაქვსთ, უკანასკნელი ურმის მესამედი გზაში რჩება, გზების სივიწროვის გამო, ჯაგებზედ.

ზარალი ცხადია, ამის მოსპობაც ადვილია; მაგრამ ჩვენი ქართველი გლეხი თუ არ პოლიციის ძალ დატანებით არას გააკეთებს საერთო და თვითეულისათვის ცხად სასარგებლო საქმეს მაშინ, როდესაც მთელ ყვარლს შეუძლიან ერთ კვირას სრულებით რაც გასაკეთებელი გზებია, ისე გააკეთონ, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდეს.

მე ამ გვარმა სოფლის ხალხის გულაცრუებამ თავიანთ სასარგებლო საქმეზედ დიდათ განმაკვირვა და მიზეზიც გამოვიკვლიე: ერთი სამუშაოზედ მომეტებულ შემძლებლები არ გადიან, ზოგს ყარაულის თავები ინახვენ *), ზოგს მამასახლისი და ზოგს გზირები და რასაკვირველია, დანარჩენ ხალხსაც გულები აქვსთ აცრუებულნი და ისინიც აღარ გადიან ამ საქმის და ერთობ საზოგადოების განმაერთებელი არავინ არის და, ამ უთანხმობის გამო, საზოგადო საქმეც კოჭლობს. ჩემის აზრით, ამნაირ საზოგადო საქმეში როგორც გლეხთ, ისე თავად-აზნაურობამაც უნდა თანაუგრძნოს.

იმედია, ყვარლის თავადები არ დაიზარებენ მისცენ რაც-კი იმათგან შეიძლება თავიანთ სოფლელებს შემწეობა მით უმეტეს, რომ ეს იმათთვისაც მეტათ სასარგებლო საქმეა. არა თუ მარტო ამ საქმეში, საზოგადოთ დიდათ სასურველია, რომ გლეხთა და მებატონეთა შორის იყოს ყოველს საზოგადო საქმეში თანხმობა.

ერთს ათიოდ კომლსა აქვსთ სოფლათ კალოები და იმათი მტრისაგან ისე არიან შეწუხებულნი, რომ კალოობის დროს ახლო მეზობლები თავიანთ სახლებს თავს ანებებენ და ცოლ-შვილით გადადიან მოშორებულ მეზობლებთან, სადაც კალოები ახლოს არ არიან. ამაზედ სანიტარის წევრებს სთხოვდნენ გამოეყვანათ იგინი ამისთანა მდგომარეობიდამ. თხოვნაც დიახ საბუთიანი არის, თუ-კი ექვსას კომლს სოფელს გარეთ აქვსთ კალოები, ნუ თუ ეს ათიოდ კაცი ვერ გადიტანდნენ; რჩევით ვერა ჩაეგონეს-რა წევრებმა, მიმართეს ისევ პოლიციის ძალას; აქ იყო პოლიციის პრისტავის თანამდებობის აღმასრულებლათ თ. კ. ჯ—ძე, რომელმაც დაიბარა კალოების პატრონები და რადგან წელს ძნები მოტანილი ჰქონდათ, აღარ გადაატანინა და საკუთრათ-კი ხელწერილი ჩამოართვა, რომ მოსპონ უეჭველათ კალოები სოფლათ. ამ ნაირათ, როგორც ჰხედავთ, ჩვენი სანიტარნის წევრებისთვის ჯერ-ჯერობით საჭიროა კიდევ პოლიციის დახმარება, რომ თავიანთ კეთილი მიზანი სისრულეში მოიყვანონ ხოლმე.

ორს პატივცემულ თავადებსაც აქვსთ თავიანთ ეზოებში კალოები. მაგრამ ერთმა იმათგანმა სასაფლაოების ახლოსაც-კი მოშალა კალოები, რომ მიცვალებულები ბზის ბოჩომ და მტვერმა არ შეაწუხონო! რასაკვირველია, ისინი ცოცხლებისთვის უფრო იზრუნებენ. ამ შემთხვევაში ისინი პირველნი უჩვენებენ მაგალითს უმეცარ გლეხებს და რა თქმა უნდა, პირველათ ისინი მოშლიან შუა სოფელში კალოებს.

*) სოფელი რამდენსამე ნაწილათ არის გაყოფილი; ყველა ნაწილს თავიანთ შორის ერთი კაცი ჰყავთ ამორჩეული, რომელსაც „ყარაულის-თავს" ეძახიან; ამის მოვალეობა არის თავის ხალხს მოუაროს, ბეგარაზედ გამოიყვანოს დასხვა-და-სხვა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი**. 4 ენკენისთვეს ქ. ნეიბურგში დაუდგეს ძეგლი დიუპონ-დე-ლერს. აქ, სხვათა შორის, დაესწრო გამბეტტა რამდენიმე თავის მეგობრებით. ადგილობრივ ქალაქის თავის სიტყვის შემდეგ, რომლითაც მიმართა ამან ძვირფას სტუმრებს, ილაპარაკა გამბეტტას მეგობარმა სპიულერმა, მაგრამ ამის სიტყვა უსიამო შემთხვევით შექნა გაწყვეტილი:—იატაკი, რომელზედაც იდგნენ ოფიციალური სტუმრები—პრეფექტები, მერები, ღენერლები, მინისტრი კაზო და თვით გამბეტა, ჩაინგრა და ყველა ზედ მდგომნი ერთი მეორეს დაეცნენ თავზედ. ბედზედ ესტრადა არ იყო მაღალი და უბედურება არა მომხდარა. გამბეტტა ხელ-ახლად დაენახა შეკრებილებას და მიმართა შემდეგის სიტყვით: „საყვარელო მოქალაქენო, ამ გვარი უმნიშვნელო შემთხვევა, რომელიც ამის შემდეგ, რასაკვირველია, არ გამეორდება, რადგანაც იატაკი დედა-მიწაზედ დავიდა, ვერ დაარღვევს დღეის დღის ბრწყინვალებას. ამიტომაც მე ვსთხოვ სპიულერს განაგრძოს". საზოგადოებაში სიცილი შეიქნა. სპიულერის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა კაზომ ილაპარაკა. ამანაც რომ გაათავა, ძეგლის წინ კიბეზედ შედგა გამბეტტა და დაიწყო: „ძვირფასო მოქალაქენო, ჩვენ გავეყრებით აქ ერთმანეთს და თან გულში წაგვყვება მახსოვრობა ამ დღისა, რადგანაც ჩვენ, მარტო იმისათვის კი არ შევგროვილვართ აქ, რომ მივიღოთ უქმი სიამოვნება ძეგლის დადგმით და ურთიერთობრივი ძმობა გამოვაცხადოთ სახალხო კრებაში. ამ ხალხის მიერ აღიარებულს წმინდა აზრისაგან (ძეგლის დადგმა) ჩვენ მხოლოთ გაკვეთილს კი არ გამოვიტანთ, არამედ ჩვენ სასტიკ ვალსაც—წავბაძოთ იმ ხალხთ, რომელნიც ჩვენ მიგვაჩნიან ჩვენი გზის მაჩვენებელად. ძეგლის აღმართვა იმ გვარ პირთათვის, რომელთაც არ დაუმსახურებიათ ის, არც თავის სულის სიმაღლით და არც საზოგადოებისათვის მოღვაწეობით, მოასწავებს ხალხის დაცემას, რომელსაც სურს ჰყავდეს გამოჩენილი კაცები და გამოჩენილი საქმენი კი არა აქვს თავის ისტორიაში. დიახ, მოქალაქენო და თქვენც, ქალებო, თქვენ, საუკეთესნო ნაწილნო ხალხისა, რომელთაც გიჭირავთ ხელში სამშობლოს ბედი, წარმოიდგინეთ რას მოასწავებს თქვენთვის ეს ძეგლი. მერწმუნეთ, ჩვენ რომ ბევრი გვყო-

ლოდა ამ გვარი პირები, რომლის ძეგლსაც ეხლა ჩვენ შევყურებთ, ჩვენ ისტორიაში აღარ იქნებოდა ჩაწერილი 4 ენკენისთვე და ამის ადგილს 14 ივლისი 1789 წლისა დაიჭერდა. აი რისთვისაა სასარგებლო, რომ მხოლოდ იმ პირთ აღემართოთ ხოლმე ძეგლი, რომელთაც სიკეთე და გონება არ შეცვლიათ, რომელთაც არასოდეს არ დაუხევიათ არც ხალხის მოსწრაფების წინაშე და არც ერთი პირის მტარვალობის წინაშე“... დიდის ალტაცებით აწყვეტინებდნენ ხოლმე ხშირად სიტყვას გამბეტტას და ამ გვარათვე დაათავებინეს.

# განცხადებანი

**შავერდოვის** გაზეთების სააგენტოში მიღებულია და ისყიდება № 1 ქუთაისის ქართული გაზეთისა

**დაიბეჭდა და ისყიდება გრიქუროვის მაღაზიაში**

ადისნა ლოცვებისა, სიმოვოლ-სარწმუნოებისა და მცნებებისა

სასოფლო, საერო და სამოქალაქო სასწავლებელთათვის

შედგენილი კავკასიის აქეთა მხარის სამოსწავლებლო სემინარიის სალრმთო სჯულის მასწავლებლის

მღვდლის ლაზარე ტურიევისაგან.

ფასი—20 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა მღვდლის ტურიევისავე: სახელმძღვანელო საღრმთო ისტორიისა ძველის და ახალის აღთქმისა სურათებით.

(6—1)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—3)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **ისყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—13)

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული ვ. ხ. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლის, მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—5)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**სამწერლო**

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული **ილია ჭყონიასაგან.** შინაარსი: I **ბაბუას თხოვნა** (ლექსი) მ. ფაზელისა, II **უბედური შემთხვევა** (ამბავი) ჭ—სა, III **ჩემს სურათებზე** (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...**სადმი** (ლექსი) გ—სა, V **ფერი ფერს—მადლი ღმერთს** სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI **ჩივილი ხვედრისადმი** (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII **ხასიათის გაცლენა** სამეულ სმაილსისა, VIII **უკითხავი პასუხი** (ლექსი) ნ. დ—სა, IX **ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში** და X **მტარვალებს** (ლექსი) აკაკისა

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—10)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ — | 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ — | 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ — | 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—36)

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.**

(100—30)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა. კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო გებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშნივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—18)

**მიუხედავათ** იმისა რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა აროროტიული ... ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. **ხვლების** კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—160)

**ახლად მიღებულია**

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—22)

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკვილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—25)

**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 სეკტემბრიდამ 15 სეკტემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | 3½ |

იმავე ფქვილ თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ | 5½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი